ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2334 ოთხშაბათი, 26 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2334

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. **ტელეფონი № 372.**

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ ფულის გამოსაგზავნი ბლანკები.

წარ. 24. აბონემენტი № 7. ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

◆ პირველად ქართულ სცენაზე ◆

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქმ. ჰ. იბსენისა, თარგმ. პოლუმორდვინოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: კ. მესხის სებენეფისოთ „რუსთაველი“.

რეჟისორი **აკაკი**

ქართული თეატრი

(ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი)

ანონსი

მოკლე ხანში დაიწყება გასტროლები (პირველად ტფილისში) სრულის დასით

ვენის ოპერეტისა

(შესანიშნავის ანსამბლით ვენის საიმპერატორო-სამეფო „კარლ-თეატრისა“)

დირექცია ფ. ნ. შულცისა და გენრ. ცელლერისა.

გაიმართება მხოლოდ 7 წარმოდგენა. დაწვრილებითი ცნობები ამ დღეებში იქნება გამოცხადებული ცალკე აფიშებში.

(2—211—1) დირექცია: **ვ. ნ. შულცი და გენრ. ცელლერი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ბალ-მასკარადი

ოპერა 4 მოქმედ. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გალცინა, კარტავინა, კალინინა, ბ-ნნი: რაისკი, ილიუშჩენკო, ამირჯან, კლიუზნერი, ფეოდოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 27 ნოემ. „სოფლური პატიოსნება“ და „პაიაცები“. მზადდება წარმოსადგენად „კამორა“. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11–12.

ლ. მ. მოქნინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12–1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდურ-ოვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—13)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—22)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ აღმოსავლეთის საქმე

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე დღესაც არ გამორკვეულა, დღესაც მეტად ჭრელი ამბები მოდის იქიდან. „სავ.-სატელ. სააგენტოს“ სწერენ ბერლინიდან: „შორეულ აღმოსავლეთიდან მეტად არეული, ერთი მეორის წინააღმდეგი ცნობები მოდის. ტოკიოდან დეპეშა მოვიდა, იაპონიის ხალხი ბეჯითად თხოულობს, რუსეთს ულტიმატუმი გავუგზავნოთ და მანჯურიიდან ჯარის გაყვანა მოვთხოვოთო. ამერიკული გაზ. „ასოშ. პრეს“-ი კი აცხადებს, რუსეთი და იაპონია მორიგდნენ კიდეცაო.

იმავ „სააგენტოს“ სწერენ ბერლინიდან: 19 ნოემბერი. ლონდონის პრესის გავლენით გერმანული პრესაც იმ აზრს ადგა, რომ შორეულ-აღმოსავლეთში, შეიძლება, დიდი ამბები მოხდესო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი ამტკიცებს, აქ სარწმუნოდ გაიგეს, რომ იაპონიის ხალხი ომის გამოცხადებას თხოულობსო. თუმცა იაპონიის სამინისტრო ცდილობს, საქმე მორიგებით გაათავოს და მშვიდობიანობა არ დაარღვიოს, მაგრამ პარლამენტსა და ხალხში ომის სურვილი თან და თან ძლიერდებაო.

ლონდონიდან სწერენ იმავ სააგენტოს: აქაური პრესა დღესაც დიდ ყურადღებას აქცევს შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს. „დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ ბერლინიდან: რუსეთიდან შორეულ-აღმოსავლეთის საქმის თაობაზე მეტად ასაღელვებელი ამბები მოდისო. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იწერება: იაპონიის მთავრობისაგან ჩინეთში გაგზავნილი უმაღლესი სამხედრო ინსტრუქტორი ტოკიოში მოვიდაო.

გაზ. „სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: უძლიერესმა იაპონურმა პოლიტიკურმა პარტიამ „შიმნოტომ“ დაადგინა, ჩვენი მთავრობა გავკიცხოთ, რომ რუსეთს ასე დუნედ ექცევა და მოლაპარაკება ასე დიდხანს გააჭიანურაო.

მარკიზ იტოს აზრი შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე

მორიგების მომხრე, ცნობილ იაპონელ მოღვაწეს, პირველ-მინისტრად ნამყოფს მარკიზ იტოს წარსულ ოქტომბერში ერთ ჟურნალისტთან შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე ულაპარაკნია და შემდეგი უთქვამს:

„როგორ გადასწყდება მანჯურიის საქმე,—ეს დღესაც ძნელი გამოსაცნობია. რას მოგვიტანს დიპლომატიური მოლაპარაკება,—ესეც მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის. მე ვიცი, რასაკვირველია, იმ ნოტის შინაარსი იაპონიამ რომ რუსეთს გაუგზავნა, მაგრამ ვერ გიამბობთ, ამის უფლება არა მაქვს.

ამბობენ, იაპონიის საზოგადოება გადაჭრით თხოულობს, რუსეთს ომი გამოუცხადოთო, მაგრამ იაპონიის მთავრობა მაგრე ადვილად ვერ აჰყვება საზოგადოებას.

იაპონიის დიპლომატია ამ ჟამად მეტად ფრთხილადა და წინდახედულად იქცევა, მაგრამ ისე კი არ იქცევა, როგორც ჩინეთ-იაპონიის ომის წინ იქცეოდა. ეხლა იაპონიის დიპლომატია ძველ, გამოცდილ მეომარივით იჭერს საქმეს: ყოველივეს რიგზე ასწონ-დასწონის და გატაცებულ ხამ მეომარივით ქარაფშუტულად არ მოიქცევა...

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკება მორიგებით გათავდება“.

ინგლისის ადმირალების მოლაპარაკება

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ ატყობინებენ ლონდონიდან: 19 ნოემბერი. სინგაპურში ავსტრალიისა, ჩინეთისა და ოსტ-ინდოეთის ზღვებში მყოფ ინგლისის ესკადრების უფროსმა ადმირალებმა თათბირი მოახდინეს, ეხლანდელ პოლიტიკურ ვითარებასა და ინგლისის ესკადრების ძალაზე მოილაპარაკეს. ადმირალებმა დაადგინეს, ფლოტის გაძლიერება საჭირო არააო, მხოლოდ მცირე რამ ცვლილება უნდა მოხდეს და ცოტა რამ დაემატოსო. ამ საჭირო ცვლილებასა და დამატებაზე ადმირალებმა საგანგებო ქაღალდი დასწერეს და ლონდონში გაგზავნეს.

ფრანგულ პრესსის აზრი იარაღის აყრაზე

როგორც ვიცით, სოციალისტებმა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში წინადადება შეიტანეს, ჩვენი მთავრობა სხვა სახელმწიფოებს იარაღის დაყრისა და სამხედრო ხარჯების შემცირებაზე მოელაპარაკოსო. პალატამ დიდის ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ეს წინადადება.

ამავე საქმის თაობაზე ფრანგულ პრესსაშიაც დიდი კამათი ასტყდა. ნაციონალისტებისა და კონსერვატორებისა და ზომიერ რესპუბლიკელების გაზეთები დიდის ქებით იხსენიებენ პალატის უმეტესობის პატრიოტულ გრძნობას, სამაგიეროდ სოციალისტებსა და მეტადრე ჟორესსა და პრესანსეს მკაცრადა ჰკიცხავენ და სამშობლოს მოღალატისა და გამცემლის სახელს არქმევენ.

ცნობილმა მოღვაწემ რადიკალმა კლემანსომაც გამოსთქვა თავისი აზრი ამ საგანზე. კლემანსომ გაზ. „ორორ“-ში დასწერა, „ჟორესისა და პრესანსეს აზრს ვერას დროს ვერ დავეთანხმებიო. მამულის სიყვარული სულ სხვანაირად მესმისო. პრესანსე დღეს ელზას-ლორენზე იღებს ხელსა, ხვალ კიდევ, ვინ იცის, ბურგუნდიასა, შამპანსა და სხვა პროვინციებსაც დაუთმობს უცხოელებსა. ეს ნამდვილი ღალატია. როგორც ყოველ კაცს, ისე ყოველ ერსაც თავისი უფლება აქვს. სოციალისტებს სულ სხვანაირად ესმით მშვიდობიანობა. ისინი ამბობენ, ნება არა გაქვთ, დაკარგული უფლება თქვენის საკუთარის ძალითა და ღონით აღადგინოთ, თუნდაც რომ გარემოებამ როდისმე ხელიც შეგიწყოთო. ამისთანა აზრს არას დროს არ დავეთანხმები. რასაკვირველია, უძლურ, ღონე-გამოცლილ ერის მუქარიდან არა გამოვა-რა, მაგრამ როცა რომელიმე კაცსა ან ერს თავისი დამარცხება სწყინს და თავის მტრის ჯავრის ამოყრასა ნდომობს, ეს იმის მომასწავებელია, რომ ამ კაცსა ან ამ ერს მხნეობა და ღონე ემატება. სოციალისტები ამბობენ, ჩვენი ხალხი მაშინ გაძლიერდება, როცა ყველგან მშვიდობიანობა დამყარდებაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ევროპის ქცევას რომ ვუკვირდები, სულ სხვასა ვხედავ. ყველანი საომრად ემზადებიან. ამიტომ ჩემის სამშობლოს დასუსტებას ვერას დროს ვერ დავსთანხმდები. საფრანგეთიც ფრთხილად უნდა მოიქცეს და საომრად მოემზადოს. მარტო საფრანგეთისა და გერმანიის ბრძოლაზე როდია ლაპარაკი. იქმნება უფრო დიდი ამბები და ბრძოლაც მოხდეს. იქმნება ევროპის სახელმწიფოებს ერთ დღეს ისეთი ბრძოლა მოუხდეთ, იქმნება საქმე ისე წავიდეს, რომ საფრანგეთმა თავისი დაკარგული უფლება ისევ დაიბრუნოს. სოციალისტები საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობიან პოლიტიკას ადგანან, ზოგიერთ საქმეში-კი სულ სხვანაირად იქცევიან და მშვიდობიან პოლიტიკას ივიწყებენ.

ზოგიერთი ჩვენებური მოღვაწე ბეჯითად თხოულობს, მაკედონიასა და სომხეთს უსათუოდ უნდა ვუშველოთ, დახმარება გავუწიოთო; ამავე დროს იგივე მოღვაწეები გვარწმუნებენ, ელზას-ლორენზე ხმას ნუ ამოიღებთო. ლაფაეტმა ვაშინგტონს უშველა, ჩვენ საბერძნეთს და იტალიას გავუწიეთ დახმარება, ეხლა-კი, თუ ლაპარაკი საფრანგეთის საკუთარ ორ პროვინციაზე ჩამოვარდა და ვინმემ შეჰნიშნა, ამ საქმეზე შეიძლება მომავალში ომი ასტყდესო, მაშინვე აჩუმებენ,—მაგაზე ხმის ამოღება არ შეიძლებაო.

ქვეყნიერობას მარტო ძალაზე დამყარებული უფლება სწამს. ეს ძლიერ სამწუხაროა, მაგრამ ამ წესის გამოცვლა თქვენ ხელთ არაა“.

კლემანსოს სოციალისტმა პრესანსემ უპასუხა. იმავ გაზ. „ორორ“-ში პრესანსემ დინჯად დასწერა: „საფრანგეთის პროვინციების გაცემა გუნებაშიაც არ გამიტარებია. მშვიდობიანობისა და იარაღის აყრის მომხრენი სულაც არ ივიწყებენ ელზას-ლორენს. პირიქით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იარაღის აყრის შემდეგ საფრანგეთი და გერმანია შერიგდებიან და ელზას-ლორენის ხალხს უფლება მიეცემა, თავისი ბედი საკუთარის ჭკუითა და ნებით გადასწყვიტოს. ძლიერა ვწუხვარ, რომ თქვენ (კლემანსომ) ამ საქმეში ნაციონალისტებს დაუჭირეთ მხარი; დღესაც ვერ გამიგია, რისთვის მოიქეცით ასე. გერმანიის ჯავრის ამოყრას და ომის გამოცხადებას ეხლა მყვირალა ნაციონალისტებიც-კი არა ჰფიქრობენ. გერმანიის ჯავრის ამოყრით ნაციონალისტები მხოლოდ ხალხს უხვევენ თვალებს და რესპუბლიკას აძულებენ“.

ახალი ამბავი

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ განიხილა განსაკუთრებულ კომისიის პროექტი

იმ **საბაქტერიოლოგიო განყოფილებისა,** რომელიც საქიმიო ლაბორატორიასთან უნდა დაარსდეს. კომისიის გამოანგარიშებით ლაბორატორიის მოსაწყობად ერთ ჯერათ საჭიროა 1353 მან. და ყოველ წლობით კი 3570 მან. სასანიტარო საბჭომ დაადგინა: დაარსოს საქიმიო ლაბორატორიასთან საბაქტერიოლოგიო განყოფილება; ლაბორატორია, როცა სახლის იჯარა გათავდება, გადატანილ იქნას ქალაქის შუა გულში, უფრო მოხერხებულ ადგილას, და გადაიდვას ყოველ წლობით 3020 მან.

◆ წყალთა ინსპექტორმა კავკასიაში გუშინ, 25 ნოემბერს, სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს გეგმა მტკვრის ორივე ნაპირისა სატეხნიკო ქუჩიდან მოკიდებული ვერის ხიდამდე. ამასთან ინსპექტორი ატყობინებს გამგეობას, არ ვეთანხმები და ჩემის მხრივ ნებას ვერ მივცემ ბ-ნ მამიკონოვს ამოაშენოს ვაჟთა მეორე გიმნაზიის წინ, ნაბერეჟნის ქუჩაზე, **მტკვრის პირად** ქვის კედელი, რადგან ამ კედლის მეოხებით წყალი მარჯვენა ნაპირს მიაწვება და შესაძლებელია დიდი ზარალი მიაყენოს ხე-ტყის საწყობებსაო.

◆ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას პროექტი იმ **საგიმნასტიკო იდგილისა,** სადაც უნდა ივარჯიშონ ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეებმა. პოლიცმეისტერი სთხოვს გამგეობას, მოაწყობინოს ხსენებული ადგილი.

◆ გუშინ, 25 ნოემბერს, ინჟენერმა ხატისოვმა და ბრაილოვსკიმ წარუდგინეს ტფილისის ქალაქის გამგეობას გეგმა და სურათები მათ მიერ განზრახულ **სოლოლაკის ტუნელისა.** ინჟენრები სთხოვენ გამგეობას, დანიშნოს სატეხნიკო კომისია გეგმის განსახილველად.

◆ გუშინ, 25 ნოემბერს, ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა წარუდგინა ქალაქის მოურავს მოხსენება ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის განსაკუთრებულ ადგილის არჩევის შესახებ. ამ მოხსენებაში სასანიტარო საბჭო სწერს, რომ ტფილისს არ აქვს ისეთი ადგილი, სადაც განსაკუთრებით ფაბრიკა-ქარხნები იმართებოდეს. ქალაქს ჩავარდნილი მდებარეობა აქვს, რის გამო ქალაქის საზღვრებში არსებული ქარხანა-ფაბრიკები სანიტარის მხრივ საზარალოა მცხოვრებთათვის. განსაკუთრებულ ადგილის უქონლობისა გამო მთელს ქალაქში მოფანტულია საავურე-საკრამიტე ქარხნები, ლუდისა, არაყისა, და სხვა სასმელების ფაბრიკები და სხვა. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი სთხოვს მოურავს, აღიძრას საკითხი ქარხანა-ფაბრიკებისათვის განსაკუთრებულ ადგილის არჩევის შესახებ.

◆ გორის მაზრის სოფელ **ავლევის სასოფლო სამკურნალოს** გამგედ დაინიშნა ექიმი პაპიკიანცი (იგივე გურსიკიანცი). ეს სამკურნალო კერძოა, სოფლის საზოგადოების მიერ დაარსებული.

◆ **ბაქოში** ხელ-ახლა გაჩენილა ცეცხლი. პირველად ცეცხლი წაჰკიდებია შიბაევის ნავთის ორ შადრევანს.

◆ გუშინ ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა აცნობა ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას, რომ მეტად უსუფთაოდ არის შემდეგი ქუჩები: მიხეილის პროსპექტი, კიროჩნი ქუჩა, ავჭალის და ვორონცოვის მოედნები, ვერის მოედანი, სადაც ცხენის რკინის გზის ვაგონების ცხენები დგანან, ელისაბედისა და სხვა ქუჩები, რომელთაც არავინ არ ასუფთავებს რიგიანადაო. ბოქაული სთხოვს გამგეობას, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

◆ გუშინ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ ავლაბარში სისხლის საშრობი ქარხანა კენისბერგისა და ვოლფზონისა დაიკეტოს იმ დრომდე, ვიდრე შეაკეთებდნენ, რადგან ქარხანა ანტისანიტარულ მდგომარეობაშიაო.

ტფილისის ქალაქის საბჭო

ტფილისის ქალაქის საბჭომ 24 ნოემბრის სხდომაზე განაგრძო განხილვა მომავალ 1904 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისა. საღამოს $8^{1}/_{2}$ საათიდან ღამის პირველ საათამდე საბჭომ მოანდომა ხარჯთ-აღრიცხვის შვიდი მუხლის განხილვას.

ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ კრების დადგენილების თანახმად, ქალაქის ქუჩების შესაკეთებლად მომავალ წელს უნდა გადაიდვას 10,000 მან. ქალაქის გამგეობამ-კი საჭიროდ სცნო წარსულ წლებსავით ამ საქმისათვის გადაიდვას 18,000 მან., აქედან დასჭირდებათ 12 მუდმივ მუშისათვის ჯამაგირად 2,592 მან., ქვის ყიდვა, დამზადება და მოტანა 15:600 მან. და სხვა წვრილმანი სულ 18,000 მან. ზოგიერთი ხმოსანი წინააღმდეგი გაუხდა ქალაქის გამგეობას და ითხოვდა, ეს ხარჯი 18,000 მან. შემცირებულიყო 10,000 მანეთამდე, რადგანაც ქალაქის ბევრი ქუჩა, რომლებზედაც გზა-ტკეცილი კეთდება, მომავალ წელს გადავა საუკეთესო სისტემით ქალაქის ქუჩების მომკირწვლელ კომისიის განკარგულებაში; ეს ქუჩები მოიკირწვლება კომისიისაგან და მას იმდენი ხარჯი არ დასჭირდება, რამდენსაც ქალაქის გამგეობა სთხოვსო. ზოგი ხმოსანი-კი თანახმა იყო გამგეობის აზრისა და აცხადებდა, დამტკიცებულ იყოს გამგეობის წინადადება 18,000 მან. გადადების შესახებო. კარგა ხანს თათბირის შემდეგ საბჭომ მიიღო შეუცვლელად აღნიშნული მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა.

საბჭომ აგრეთვე შეუცვლელად მიიღო ხარჯთ-აღრიცხვის შემდეგი მუხლები: მე-33, რომლის თანახმად უნდა გადაიდვას 9,000 მან. ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისათვის საჭირო მასალების დასამზადებლად; მე-34 მუხლი, რომლითაც გადადებულია 4,464 მან. ცარიელ ადგილების დასაქირავებლად, სადაც უნდა დაიწყოს სხვა-და-სხვა მასალა ქვისა, ხისა, რკინისა, ქალაქის ქუჩებისა თუ სხვა შენობისათვის საჭირო; მე-37 მუხლი, რომლითაც გადადებულია 4220 მან. ქალაქის ქუჩების შეკეთების დროს მეთვალყურე მოხელეთა დასაქირავებლად.

დიდი კამათი გამოიწვია ხარჯთ-აღრიცხვის მე-38 მუხლმა, რომლითაც, ქალაქის გამგეობის დადგენილებისამებრ, უნდა გადაიდვას 21,272 მან. ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოსაკირწლავად. ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ კრების დადგენილებით იმ საქმისათვის მომავალ წელს ქალაქს ეყოფა სულ 18,000 მან. ხმოსანმა თავ. ვ. მიქელაძემ დიდ ხანს ილაპარაკა ამ დადგენილების წინააღმდეგ. სხვათა შორის, თავ. მიქელაძემ სთქვა: წარსულ წლებში, როცა ქალაქის გამგეობას ვალად ჰქონდა ქალაქის ქუჩების (400,000 ოთხ-კუთხი საჟენის) გასუფთავება, მაშინ ამისათვის გადადებული იყო სულ 32,000 მანეთი; ეხლა-კი ტფილისში შემოღებულია მეეზოვეთა შტატი, რომელთაც დავალებული აქვთ სახლის პატრონებისაგან ქუჩების დაწმენდა-დასუფთავება; გამოცემულია აგრეთვე სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც მცხოვრებთ დავალებული აქვთ თავიანთ სახლების წინ ქუჩების დაწმენდა, ასე რომ, ამის მიხედვით, ათჯერ თუ არა, ხუთჯერ მაინც უნდა შემცირდეს ხარჯი, გამგეობას-კი ნახევრადაც არ უნდა შეამციროს ამ საქმისათვის გადადებული ხარჯი. თავის ვრცელ სიტყვის დასასრულ თავ. მიქელაძემ ითხოვა, საზოგადო ვაჭრობა დანიშნოს ქალაქმა და ქუჩების მოკირწვლის საქმე საიჯაროდ გასცეს წელიწადში 10,000 მან. და მაშინ პრაქტიკა დაგვარწმუნებს, თუ ნამდვილად საქმისათვის რამდენი იქნება საჭიროვო. ხმ. ბაბოვმა მოითხოვა, რომ ქალაქის ქუჩების მოსაკირწლავად მეტი არ გადადებულიყო, ვიდრე 9,000 მან. თავ. მიქელაძესა და ბ. ბაბოვს წინააღმდეგნი გაუხდნენ ხმოსნები ბ. ბ. ევანგულოვი, ხუდადოვი და ზოგიერთი სხვა, რომელნიც ითხოვდნენ არ შემცირებულიყო 18,000 მანეთი ქალაქის ქუჩების მოსაკირწლავად გადადებული. კამათმა ამ საგნის შესახებ ორ საათამდე გასტანა. დასასრულ საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა გადაიდვას ქალაქის ქუჩების მოსაკირწლავად მომავალ 1904 წლისათვის 18,000 მან.

შინ და გარედ

37.

მაშასადამე, საჭიროა ჩვენის სოფლის მდგომარეობის შესწავლა.

მაგრამ, როგორ და ვინ უნდა მოაწყოს ეს საქმე? ბუნებრივი პატრონი და მომწყობი ამ საქმისა ერობაა,— ისევ ის ერობა, რომლის უხსენებლად, როგორც პრესსის მეთვალყურე შენიშნავდა, ჩვენ ფეხსაც ვერ გადავდგამთ, კრინტსაც ვერ დავძრავთ. მხოლოდ ერობას შეუძლია იკისროს ეს დიდი საქმე, რაც შიდა რუსეთის მაგალითმაც დაგვიმტკიცა: რუსეთის ერობამ განახორციელა ვეება საქმე სოფლის ყოველმხრივ შესწავლისა და შექმნა „საერობო სტატისტიკა“, განთქმული არა მარტო რუსეთის, არამედ დასავლეთ ევროპის მეცნიერებაშიაც. ჩვენშიაც მხოლოდ ერობას შეუძლია უპატრონოს ამ საქმეს; ვერც ადგილობრივი მმართველობა, ვერც ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, ვერც კერძო პირები ვერ შესძლებენ სისტემატიურის, სრულის და ყოველმხრივის გამოკვლევის საქმის მოწყობას. სხვა-და-სხვა უწყებათა ადგილობრივ დაწესებულებათ, მაგალითად, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყებამ, მოახდინა გამოკვლევა, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობისა; კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გამოიკვლია სულ მცირედი რაიონი; კერძო პირთ ხომ ცდაც არ შეუძლიათ: ყველა ამათ ან საკუთარ აუარებელ საქმის გამო, ან საშუალების ნაკლებობის გამო, ან უფლების უქონლობისა გამო, არ შეუძლიათ იკისრონ საქმე, რომელიც დიდ შრომასა, ხარჯსა და უნარს მოითხოვს.

ერობის შემოღების საჭიროებაზე ჩვენში ბევრი თქმულა და დაწერილა. ყოველმხრიდან შეუხედნიათ საქმისთვის. სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება, ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება, ხალხისათვის საექიმო დახმარების მიწოდება,—ყველა ამ საქმის მიხედვით გადასინჯულია საკითხი ჩვენში ერობის შემოღების საჭიროების შესახებ და ამის მიხედვითვე რამდენიმე დასაბუთებული შუამდგომლობა იქმნა აღძრული, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმის განხორციელებისა არაფერი ისმის. ეხლა კიდევ თავს გვახსენებს ერთი საჭიროება, რომელიც აგრეთვე უერობოთ ვერ განხორციელდება. ეს არის—სოფლის მდგომარეობის შესწავლისა და გლეხობის დებულების გადასინჯვის საქმე, რომელიც, როგორცა ვთქვით, უერობოთ ვერ მოეწყობა. მაშასადამე, კიდევ გვიჩნდება საბუთი, განვიმეოროთ მოთხოვნანი და ენერგიულად შევეცადოთ კარგის ხნის სურვილის განხორციელებას...

საქმე ის არის, რომ ერობის მნიშვნელობა სწორედ დღეს გადიდდა. როგორც იცით, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებიც ვერ ასცდნენ ერობას: ბოლოს და ბოლოს უმთავრეს საბჭოს ხელში შეგროვდა ის მასალა და ის პროექტები, რომელიც ერობას ჰქონდა. შემდეგ, „ცენტრის გალატაკების კომისიაც“ ერობასთან მიიქცა. მაგრამ, ყველაზედ უფრო საინტერესო და საგულისხმოა მომავალ საგუბერნიო კომიტეტების ამბავი. როგორც იცით, სტატს-სეკრეტარის ს. ი. ვიტტეს უმთავრეს საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტებიც, „ცენტრის გალატაკების კომისიის“ გამოკვლევანიც და მთავრობისაგან შედგენილი პროექტებიც საგლეხო საქმის შესახებ უნდა გადაეცეს საბოლოო გადასასინჯად ადგილობრივ კომიტეტებს. ამის გამო გაზეთი „რუსკ. ვედომ.“-ი გვაუწყებს, რომ კომიტეტები შემდგარნი იქნებიან **ერობისა და თავად-აზნაურობის** წარმომადგენელთაგან, რომელნიც საგანგებოდ უნდა იქნან ამ საქმისათვის არჩეულნი საგუბერნიო ერობათაგან და თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებათაგან. კომიტეტების მუშაობის დასრულების შემდეგ განზრახულია მოიწვიონ **საერთო კრება,** რომელსაც განსახილველად გადაეცემა მთელი ეს ვეება საქმე. როგორც ჰხედავთ, მეტად საინტერესო და საყურადღებო სრული გეგმაა შედ-

ფელეტონი

ოცნება

ორივე ხელის იდაყვები მაგიდაზე დაეწყო, ორივე პირისთვის მიებჯინა. თმა-გაწეწილი იჯდა და ტიროდა, ცრემლი ღაწვებიდან დაწყებული ხელებზედაც კი ჩამოსდიოდა. უცბად თავს წავადეგ. შევკრთი, თავი ვერ შევიმაგრე; ვიდრე ტირილის მიზეზსა ვკითხავდი, მე თითონაც ტირილი დავიწყე, იმის ცრემლების დანახვამ მეც ამატირა, მიყვარდა და იმიტომ. როცა მეც ტირილით გული მოვიოხე, კისერზე ხელი გადავხვიე და ვკითხე:

— რა გატირებს, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლევ?!.

— მეც არ ვიცი, მინდა ვიტირო, ჩემმა ფიქრმა ამატირა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს დავიწყე ტირილი—მიპასუხა მან და თან ცრემლები წაიწმინდა.

— რას ფიქრობდი? რა გაქვს საფიქრალი?

— მეც როდი ვიცი, არ ვიცი. მხოლოდ ის, რომ... და გაჩუმდა. ღრმად ამოიოხრა, მწუხარე თვალებით შემომხედა. იმის თვალების მაშინდელი გამომეტყველება გულში ჩამებეჭდა და არც დამვიწყებია...

ამ დროს ცამ საშინლად დაიქუხა, ისე საშინლად, რომ მთელმა სახლმა ზანზარი დაიწყო. მე პირჯვარი დავიწერე... ღამე იყო. დაუშვა ხშირი წვიმა. წვიმის ჩქამი შინ გარკვევით გვესმოდა. ჩვენ ორივემ ყური ბუნების მოვლენას დავუგდეთ და სასაუბრო საგანი დაგვავიწყდა. კრამიტებიდან ჩამონადენი წვიმის ცვარი ფანჯრების წინ წკაპწკაპებდა, თითქო რაღაცას ამბობდა, ისინიც საუბრობდნენ ერთმანეთთან და ჩვენც გვესაუბრებოდნენ, არ გვეყურებოდა, მაგრამ სასიამოვნო იყო მათი საუბრის ერთფეროვანი კილო, საიდუმლოებით მოცული. მეორე საიდუმლოებამ პირველი დამავიწყა, ამას უფრო დავუკვირდი.

— გვიკვირს? რად გვიკვირს? ეგრე ყოფილა წინად, ეგრევე იქნება მომავალში. ზამთარი ზამთრად დარჩება, გაზაფხული—გაზაფხულად და ზაფხულიც იგივე იქნება, რაცა ყოფილა და არის, ხოლო ჩვენ... ჩვენ აღარ ვიქნებით. ჩვენ წავალთ ამ სოფლით, გავქრებით, გავნაცარმტვერდებით, ბუნება კი იქნება უცვლელი, როგორც ყოფილა...—სთქვა მან და თავი დაბლა დაჰკიდა.

— იქნება იმიტომ სტირი, ჩემო ტურფავ? მადლობა ღმერთს, თუ იმდენად ბედნიერნი ვართ, რომ სიცოცხლე არ გვეთმობა... ვუთხარი მე.

— არა, ჩვენ ბედნიერები არცა ვყოფილვართ და არც ვიქნებით... უბედურნიც ამასვე იტყოდნენ, რასაც მე ვამბობ... ეხლა მე წავალ და შენ კი იშრომე, იშრომე! შრომა და სიყვარული აძლევს შნოს და ლაზათს ადამიანის სიცოცხლეს.

— წასვლა როგორ იქნება? წვიმაა, შეხე, როგორ კოკისპირულადა სწვიმს.

— მინდა დავსველდე, მიყვარს წვიმას ქვეშ ყოფნა.—სთქვა მან და წამოდგა ფეხზე.— ნახვამდი, ვნახავთ კიდევ ერთმანეთს... იშრომე, იშრომე! ეგ არის ჩემი ანდერძი: ეგ იქნება მხოლოდ წამალი შენის დარდისა და ვარამისა.

კარებთან რომ მივიდა, მოიხედა ჩემკენ, ატირდა და სთქვა:

— ნახვამდის!

სწრაფად გავარდა კარში და თან კარები მიიხურა...

— მეც წამიყვანე, მეც!.. მეც მინდა დავსველდე, მეც მინდა წვიმაში ყოფნა, შენთან ერთად!.. თუნდა ჯოჯოხეთში!.—ვამბობდი მე, მისკენ ხელებ გაპყრობილი, ვცდილობდი თან გავყოლოდი, მაგრამ ვერ ვინძრეოდი, ვიდექი ერთს ადგილას გაშეშებული, დალურსმულივით დავრჩი, ველარც წინა ვდგამდი, ფეხს, ველარც უკან.. ენაც გამიშეშდა.

ვსდუმვარ. ვხედავდი ფანჯრიდან, ჩვენს ეზოში რომ დიდი ლოდია, იმაზე იჯდა მტრედივით, თვალები ცისთვის მიეპყრო დაშტერებით სწორედ ისე, როგორც მე იმას ვუცქეროდი. მინდოდა რამ მეთქვა, ვერ ვამბობდი ვერაფერს. მინდოდა მეთქვა: „ქალო, წამო შინ, დაჰსველდები, გასცივდები, ავად გახდები“, მაგრამ ენა არ მემორჩილებოდა.

ამოვარდა საშინელი ქარი, წამოშოლტა ხეები და მიწას გააკრა. წვიმის ცვარები სეტყვასავით მკვეთრად სცემდა ფანჯრების შუშებს. გამოურკვეველი გუგუნი ისმოდა, ძალა-უნებურად გაფიქრებინებდა: წარღვნის დღე ხომ არ დადგაო... მოიწყო ჩიტების გუნდმა მოდენა: ერთს რიკობას მეორე მოსდევდა, ქარს მოჰქონდა ესენიც წვიმასთან ერთად და განუწყვეტლად ისმოდა ჩიტთა ჟივილი... ჟჟჟჟ... ყველა ეს თავის საიდუმლოებით შიშის ზარსა მცემდა... ჩემს ძარღვებსა და სისხლში ჭიანჭველების გროვა ირეოდა. იგი იჯდა უნძრევლად, შეუპოვრად, თვალს არ აშორებდა ცის სივრცეს. მხოლოდ მის გრძელს, გაწეწილს თმას აბრიალებდა ქარი.

უეცრად განათდა მთელი მიდამო, წვიმის ცვარები ცეცხლის ნამად იქცნენ. ცეცხლის კაცები გაჩნდნენ, ქალს ხელი სტაცეს და გაჰქრნენ ცაში...

„რას სჩადით, რას? ვინა ხართ, თქვენ რა ხელი გაქვთ მაგასთან?!“ ვამბობ ჩემთვის გულში, რადგან პირი დაკეტილი მაქვს და ხმის ამოღება არ ძალ-მიძს. მუხლები მომეკვეთა. პირქვე წავიქეცი და ბალღივით ტირილი დავიწყე... ვტიროდი, დიდხანს ვტიროდი... სიმღერა მესმის, მხოლოდ მაშინ ავიხედე, მშვენიერ ყმაწვილთა—ქალთა და ვაჟთა—გუნდი მედგა თავზე და ტკბილის ხმით მღეროდა... იმღერეს კარგა ხანს... მეც ყურს ვუგდებდი... ბოლოს? ამ ტკბილმა ხმამ დამაძინა. და რომ გავიღვიძე, მთელი სახლი წვიმის წყალს აევსო, მაღლიდან ჩამოდიოდა. მგალობელთა გუნდი გამქრალიყო და ბაყაყები დახტოდნენ ტახტზე, ფანჯრის თავებზე: აქ ყოფნა შეუძლებელი იყო. გავიქეც თავის სახლიდან, მივრბივარ თავ-გადაგლეჯით; მაშინებს საკუთარი ბინა, საკუთარი სიცოცხლე. გავცდი მინდორს, შევედი დაბრულს ტყეში... ჩემს წინ ბილი-

გენილი, რომ წამოყენებული საქმე საზოგადოებრივ ელემენტთა დახმარებით გადასწყვიტონ. ხოლო ამ ელემენტების ორგანიზაცია დღეს განხორციელებულია მარტო ერობაში და ეს გარემოება მეტად აძლიერებს და აფართოვებს ერობის მნიშვნელობას. ცხადზედ უცხადესია, რომ ერობამ უნდა შეასრულოს დიადი საქმე, რომ ისტორიული მომენტი აკისრებს მას დღეს დიდმნიშვნელოვანის პოლიტიკურის აქტის აღსრულებას.

განზრახული საქმე ისეა გამოწყობილი, დროს მოთხოვნაც ისეთის დაჟინებით მოელის აღსრულებას, რომ ეხლა ყოველივე უშედეგოდ ვეღარ ჩაივლის. ჩვენი უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ეს შედეგი, ძალიან შესაძლებელია ასცდეს იმ განაპირა ადგილებს, სადაც ერობა არ არსებობს. ჩვენი ქვეყანაც, მაშასადამე, ვერ ეღირსება იმ კეთილ შედეგს, რომელიც დღეს-ხვალ უნდა მოჰყვეს აღნიშნულს მოძრაობას.

აი სავალალო და მასთან საზრუნავი საქმეც! სრულს სიმართლეს ამბობდა ამ დღეებში გაზეთი „ვესტნიკ იუგა“ (ჩვენის გაზეთის „პრესსა“-შიაც გვქონდა აღნიშნული), რომ განაპირა ქვეყნებს კვლავ მოელის უბედობა, კვლავ დარჩებიან ურეფორმოდ მხოლოდ იმიტომ, რომ წინად ისინი არ გახდნენ ერობის შემოღების ღირსნი... ამას წინად გაზეთებმა გადმოგვცეს ამბავი, რომ თვით ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი შუამდგომლობს აღმოსავლეთ ციმბირში ერობის შემოღების შესახებაო. თუ ისეთი ნახევრად ველური მხარე და მასთან უმთავრესად „ინოროდცებით“ დასახლებული შორეული ქვეყანა, როგორც აღმოსავლეთ-ციმბირია, ერობას საჭიროობს და ერობისათვის მომზადებულია, ჩვენს ქვეყანაზე რაღა გვეთქმის?! ამიტომაც, ყველა იმ დაწესებულებათ, რომელთაც სხვა და სხვა დროს ერობაზე აღუძრავთ ლაპარაკი, უმთავრესად-კი თავადაზნაურობას, კვლავ ჰმართებსთ ენერგიულადა და ბეჯითად შეეცადონ საქმეს. დეე ყველამ იცოდეს, რომ განაპირა ქვეყნებიც „ცენტრზე“ ნაკლებ არ საჭიროობენ იმ ცვლილებათა და რეფორმებს, რომელიც შიდა რუსეთისათვის არის განზრახული და რომელიც გამოიხატება საზოგადოებრივ ძალთა გაფართოვებაში.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების მინისტრმა დაამტკიცა არხანგელსკის სახალხო სკოლების მასწავლებელთა და მასწავლებლად ნამყოფთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წესდება. როგორც „სევ. კრ.“ იუწყება, ამ წესდებით საზოგადოებას უფლება აქვს, ხელი შეუწყოს თავის წევრთა მეცნიერულ-პედაგოგიურ და საზოგადო განათლებას. როგორც ვიცით, დღევანდლამდე ამ გვარ საზოგადოებას სამინისტრო არ აძლევდა ასეთ უფლებას.

◆ სარატოვის გუბერნატორს გამოუცია სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ქ. სარატოვში აკრძალულია ყოველ გვარი დარღვევა საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერებისა, უმართებულო ყოფაქცევა ქუჩებსა, მოედნებსა და საჯარო ადგილებში.

◆ პეტერბურგის პეტრე-პავლეს საავადმყოფოში მისულა გლეხის ქალი კოტოვა, რომელიც ფეხ-მძიმედ ყოფილა; საავადმყოფოში დაჰხვედრია ბებია ქალი ბოტნევა, რომელსაც გაუსინჯავს კოტოვა და თუმცა შეუნიშნავს, რომ მშობიარობა უკვე დაწყებული იყო, საავადმყოფოში მიღებაზე უარი განუცხადებია. ფეხ-მძიმე ქალი იძულებული იყო ქვეითად წასულიყო ქალაქის სამშობიარო თავშესაფარში. ქალს თავშესაფარში მისვლა ვეღარ მიუსწრია და მშობიარობისაგან ქუჩაში განთავისუფლებულა. ეს ამბავი ღამე მომხდარა.

◆ ოდესის მომრიგებელ მოსამართლეს განუხილავს შპოლიანსკის ქარხნის 24 მუშის საქმე, რომელნიც პასუხის გებაში ყოფილან მიცემულნი ქარხნის უფროს ოსტატის ცემისათვის. როგორც თვით მომჩივანს განუცხადებია, მუშები წინდაწინვე მოლაპარაკებულან, მოულოდნელად თავს დასცემიან, თვალებში თამბაქო შეუყრიათ, თავზე ტომარა ჩამოუცვამთ და ტაჩკაზე გაუშხლართავთ. შემდეგ მუშებს ტაჩკა ოსტატით ქარხნის ეზოს გარედან გაუგორებიათ და იქ დაუწყიათ ცემა. სასამართლოში გამოცხადებულა 23 ბრალდებული, რომელთაც თავი დამნაშავედ არ უცვნიათ. მოწმეებს უჩვენებიათ, რომ ოსტატს სცემდა 300 მუშამდე, აგინებდა და ფეხით და თმით ათრევდა, მაგრამ ცალ-ცალკე მუშების ცნობა შეუძლებელი იყოო. მომრიგებელ მოსამართლეს სამი მუშისათვის გადაუწყვეტია ოთხ-ოთხის დღით დაპატიმრება, დანარჩენნი-კი დამნაშავედ არ უცვნია.

◆ როგორც „ს. პეტ. ვედ.“ გვაუწყებს, პეტერბურგის ქალაქის გამგეობასა და საქველ-მოქმედო კომისიაში წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ აუარებელი თხოვნა შეაქვთ. კერძო შემოწირულება კი ძლიერ სუსტად იკრიბება. 1897 წელს, როდესაც წყალდიდობამ ახლანდელზე ბევრად ნაკლები ზარალი მიაყენა ქალაქს, კერძო შემოწირულება 7 ათას მანეთამდე ასულა. ახლა-კი ამის ნახევარი შეწირულებაც არ შეკრებილა.

◆ 19 ნოემბერს საბირჟო კომიტეტების წარმომადგენელთა კრებას ერთხმად გამოუთქვამს სურვილი, რომ საკომერციო სასწავლებლები ისევ ფინანსთა სამინისტროს ხელში დარჩეს.

◆ ახირებულ ამბავს გადმოგვცემს „იუჟ. კრაი“: ხარკოვის ოლქის სასამართლოში ერთი საქმის განხილვა ისე გაჭიანურებულა, რომ იმედი აღარ ჰქონიათ იმ ღამეს საქმის გადაწყვეტისა და ნაფიცი მსაჯულნი იძულებულნი ყოფილან ლოგინი მოემზადებინათ სასამართლოში ღამის გასათევად. მაგრამ ღამის სამს საათზე საქმის განხილვა გათავებულა. რადგან გვიან იყო, ქუჩაში ეტლები არ ყოფილა და ნაფიცი მსაჯულნი თავიანთ ლოგინით ფეხით წასულან ბინაზე. ორი იმათგანი—რიშკოვი დ’ შავაგინი—უნივერსიტეტის ქუჩაზე გაუჩერებია პოლიციელს და უკითხნია, საიდან მოდიხართ დ’ რა მოგაქვთო. მსაჯულებს აუხსნიათ, მოვდივართ სასამართლოდან, მოგვაქვს ლოგინიო, ამასთანავე პოლიციელისათვის უჩვენებიათ თავიანთ ვინაობის დამამტკიცებელი ქაღალდები, მაგრამ პოლიციელს მაინც საჭიროდ დაუნახავს, მსაჯულნი პოლიციაში წაეყვანა, საიდანაც დიდის ვედრება-მუდარის შემდეგ ძლივს დაუხსნიათ თავი.

თეატრი

მოსკოვის გაზეთებში ვრცელი რეცენზიაა დაბეჭდილი თავ. სუმბათაშვილის ახალ პიესის პირველ წარმოდგენის გამო. დრამატიული ლეგენდა „ღალატი“ დიდად მოსწონებია მოსკოვის საზოგადოებას. მაყურებლები ალტაცებაში იყვნენ და პიესის ავტორმა ბრწყინვალედ გაიმარჯვაო, სწერენ რეცენზენტები. მოგვყავს უფრო საყურადღებო ადგილები ამ რეცენზიებიდან.

„რუსკია ვედომოსტი“-ს ცნობილი რეცენზენტი ი. სწერს, სხვათა შორის: დამონებულ ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლა ძალიან კარგი საგანია რომანისა და განსაკუთრებით სასცენო წარმოდგენისთვის; ძალიან კარგი საგანიცაა და, რასაკვირველია, კეთილშობილიც—მაყურებლების სიმპატიას სწრაფად იტაცებს მთავარი გმირი, ე. ი. მტარვალთა წინააღმდეგ აჯანყებული ხალხი. ვინც ცხოვრებაში მჩაგვრელია, ისიც კი მხურვალედ თანაუგრძნობს დაჩაგრულებს ...სანამ დაჩაგვრის სანახაობა სცენაზე და წიგნშია ან სადმე ისე შორს, რომ ეს თანაგრძობა უთუოდ პლატონური უნდა იქმნეს...

მაყურებელი პასიურ როლს თამაშობს და მით უფრო მეტის გატაცებით უკრავს ტაშს სხვის მოქმედებას და ენერგიას... სუმბათაშვილის პიესის საგანი ისეთია, რომ მაყურებელს არ შეუძლია, ინტერესით არ უცქიროს მოქმედების განვითარებას და თანაგრძნობით არ მოეკიდოს დამონებულსა და მტარვალთა წინააღმდეგ აჯანყებულ ხალხს.

„ღალატი“ წარმოგვიდგენს ქართველთა ბრძოლას სპარსეთის ბატონობასთან... სხვის უღელ ქვეშ მყოფ ხალხში ცოცხალია გრძნობა მტარვალობის მძულვარებისა და სურვილი განთავისუფლებისა. ეს გრძნობა და სურვილი სცოცხლობს რენეგატებშიაც-კი, რომელნიც კარგად სარგებლობენ არსებულ პირობებით; და მით უფრო ძლიერია ეს გრძნობა იმათში, ვინც ყველაფერი დაჰკარგა და არაფერი შეუძენია. ამ გრძნობას გაუტაცნია ახალგაზრდანი, რომელთაც ჯერ არ უგემნიათ თავისუფლება, მაგრამ სხვებისაგან იციან მისი ფასი. ავტორმა დაგვიხატა ამ მომავალ გმირების ფიგურები, ზოგი დაწვრილებით, ზოგით გაკვრით, მკრთალად... ყველაზე უკეთ დასურათებულია ორი პირი: გლეხი, რომელსაც ერთ დროს უბრძოლია მტარვალების წინააღმდეგ და დღესაც შერჩენია ზიზღი მონობისადმი, და ნახევრად მთვრალი მსახური ძლიერ პირისა—ეს მსახური სარგებლობს იმით, რომ ლოთის სახელი აქვს გავარდნილი და ჩუმად თავისუფლების საქმეს ემსახურება; ცუდი არ არის რენეგატის ტიპიც, რომელსაც სამშობლო გაუყიდნია განცხრომით ცხოვრებისათვის; ის კია, რომ ერთობ ჩქარა იცვლება იგი და ერთბაშად ნამდვილი გმირი ხდება. ამ გაბნეულ ძალებს ეპირვება შემაერთებელი ძალა—მეთაური; ასეთ მეთაურად ავტორს გამოჰყავს ქალი, რომელიც მჩაგვრელის ცოლი გამხდარა, რომ მით უფრო ადვილად ემსახუროს საქართველოს განთავისუფლების საქმეს; ძლიერად მგრძნობი, ხელოვნურად თავშეკავებული, აწმყოთი დატანჯული და უკეთეს მომავალზე მუდამ მზრუნავი ქალის როლი მშვენიერად შეასრულა ერმოლოვის ქალმა... ავტორს მთავარი ყურადღება მიუქცევია განმათავისუფლებელ მოქმედებისთვის და ჩრდილში დაუტოვებია ის ზნეობრივი გახრწნილება, რომელიც აუცილებელი შედეგია თვითნებობისა და მტარვალობისა.

მეორე რეცენზენტის აზრი (გაზ. „კურიერი“-სა) დიდათ არ განსხვავდება მოყვანილისაგან.

ქართველთა ხალხი ებრძვის მრისხანე ისლამს, რომელიც ფართო ნაკადულივით მოედო კავკასიასაც. შეიძლება სუმბათაშვილის დრამატიული სურათის ისტორიული დეტალები სწორი არ იყოს, მაგრამ ბრძოლის პსიხოლოგიური სარჩული ნამდვილია და მრავალგვარი ტიპები, სულმდაბალ მოღალატიდან დაწყებული ნამდვილ სტიქიონურ გმირებამდე, ფართოდ და მძლავრის შტრიხებით არის დასურათებული. არის ეპოქები, როდესაც ცხოვრება ჰქმნის ისეთ მდგომარეობასა და კოლიზიებს, რომელთაც ვერ შეჰქმნის თვით უმდიდრესი ფანტაზიაც, და სწორედ ეს ეპოქებია, რომ იძლევა მდიდარ მასალას რომანტიულ პოეზიისათვის... სუმბათაშვილის ლეგენდა ნამდვილი რომანტიუ-

---

კია... ჩემს წინ მირბიან პატარა, პაწაწინა ბალღები და მიტირიან... „მოიცათ, მოიცათ“! ვუძახი. არ მიგდებენ ყურს, მირბიან, რაც ძალი და ღონე აქვთ... მინდა დავეწიო, ვერ ვეწევი... დავიღალე, სულის მოსაბრუნებლად დიდის ჭანდრის ქვეშ დავჯექი. ისევა წვიმდა, ბილიკი სველი იყო. ბნელოდა.. ტყეში მგლებისა და ტურების ჩხავილი ისმოდა მხოლოდ... ახ, ის პატარეები, ვინ იცის, რა მოუვათ?.. მაგრამ აი კიდევ საკვირველება: ტყე უზარ-მაზარ ქალაქად იქცა. მე ერთის ტაძრის წინ სკამზე ვიყავ მოთავსებული: მოდის აუარებელი გლახაკთა გროვა, კაცი და ქალი, მოხუცნი, ბრმანი, კოჭლნი, საპყარნი და იძახიან: „ღვთის გულისათვის, მოიღეთ მოწყალება“!..

— მოიდათ დევი!—დაიძახა ვიღაცამ.

მართლაც მოედანზე გამოჩნდა უზარ-მაზარი ტანის კაცი, თან თავის ლაშქარი მოსდევდა, ხელში მახვილი ეპყრა; ფარცხივით დიდი წვერი მთელს მკერდს უფარავდა, მისი მსხვილი, საცერივით თვალები ცეცხლს აკვესებდნენ.

— სიკვდილი მაგათ!—დაიძახა მან მედგარის ხმით.—არ გაუშვათ ერთი ცოცხალი, ქვეყანაზე უბედურება მაგათგან არი!.. გაავლეთ მუსრი!..

უფროსის ბრძანებას დაემორჩილნენ მისნი მხედარნი და ჰმუსრავდნენ გლახაკთა. გოდებისა, მუდარისა და კვნესის ხმა ცასა სწვდებოდა... სისხლი წყალივით იღვრებოდა... საშინელება იყო. თვალით ვინ ჰნახავდა ამ უბედურებას! გავეშურე იქაურობას, მივრბივარ ისევ... მივრბივარ... თუნდა კლდეზე გადავვარდე, თუნდ წყალში ჩავვარდე. ნუ ვნახავ ამ სურათს... ააახ!.. არ მინდა მოვიხედო უკან, აღარ მინდა ვნახო ეს ქვეყანა... სად წავიდე, სად?.. მივრბივარ, წინ მივიწევ...

შორს წავსულვარ, ქალაქი აღარც-კი სჩანს თვალით. მინდორია. ზედ ხალხი ირევა. ბარისა, ქარჩისა, წერაქვისა, ნიჩბების წკაპა-წკუპი ისმის... ვუცქერი: საფლავებს სთხრიან... საფლავებს ადამიანთათვის... უნდა ხალხი დაფლან, დამარხონ... ახ, ღმერთო!.. კიდევ გულსაკლავი სურათი? აღარ მინდა ამ გვარი სურათები, სხვა მაჩვენე, კარგი, გულის სალბუნო; მაჩვენე მდელო, ყვავილებით მორთული, იქ მოსეირნე იგივე ხალხი, მოსეირნე, მომღხენი და მოკისკისე! არ მინდა დავინახო საფლავის მთხრელნი, არ მინდა საფლავების ნახვა, მეჯავრება... გვერდზე გავუარე, გავცდი. იმათ კიჟინა დამცეს. მე ყური არ ვუგდე... ბრიყვები! სულელები!.. რაც ჰნებავთ, ისა სთქვან, რაც უნდათ, ისა ჰქმნან!.. მე მაინც მივრბივარ წინ, გულ-მტკივნეულს, ფეხებიც მტკივა... პირდაპირი ქარი მიბერავს, წვიმასთან ერთად მინდვრის მტვერს მაყრის თვალ-პირში და მაბორიალებს... უკანიდან ვიღამაც ხელი მომკრა კისერში, ჩოხის კალთა დამიჭირა:

— საით? საით? დადექ, მოიცადე, სად მირბიხარ?

მოვიხედე. ღმერთო, ეს რასა ვხედავ? ნუ თუ ოცნება, მოჩვენებაა?..

— შენა, ჩემო სიცოცხლევ! მე შენ მკვდარი მეგონე. ცეცხლის კაცებმა რომ გაგიტაცეს, ის მახსოვდა, მე უბედურმა ვერაფერი გიშველე.

— არა—მიპასუხა იმან:—მე ისევ ცოცხალი ვარ.

მინდა მოვეხვიო, მინდა დავუკოცნო ხელები, ფეხები, ტურფა სახე და თვალები.

— ჩემო კარგო, შენ?! გხედავ კიდევ თვალით...

— ნუ მოხვალ ახლო, ნუ! მიპასუხა მან და გადგა განზე:—დაბრუნდი, უკან დაბრუნდი, სირცხვილია, სად გარბიხარ? დაბრუნდი, დაბრუნდი, ჩქარა არ დაიგვიანო!

სთქვა რა ეს, ქალი მიბრუნდა და ერთ წამს მიმეფარა თვალთაგან. იქ სად წავიდე, ვისთან? ჩემ სატრფოს დავანებო თავი და ვიხეტიალო ცარიელს სივრცეში? მეც დავედევნე თან.

— მოიცა, ჩემო სიცოცხლევ, მოვდივარ, დამიცადე! ეხლავე მანდა ვარ, ეხლავ ამ წუთას. გამოვუდექ უკან, მუხლებში ერთი-ორად მეტი ძალა მომეცა.—სად დამემალე, სად? მინდა შენთან ვიყო მეც. მივსდევდი და თან ბავშვივითა ვტიროდი. იქნებ ველარა ვნახო?..

ხალხი ირევა ერთმანერთში, როგორც ფუტკრის მართვე. ჟრიამული ისმის. ტრიალს მინდორზე ორი ბოძი მოჩანს, თავში ერთის მორით გახიდული.

— რაა ეს?

— სახრჩობელაა.

— ახრჩობენ?—ჰკითხავს ერთი მეორეს...

— ეხლავე დაახრჩობენ. აგერ ჯალათი მზად არის.—უპასუხებს მეორე.

— რა დაუშავებია?—ჰკითხულობს მესამე.

— ბევრი რამ, ბევრი!—უპასუხებს მეოთხე.

— სად არის, რომელია? დამანახვეთ ერთი! – ამბობს მეხუთე.

— აგერ, აგერ, როგორ ვერ ჰხედავ?—უპასუხებენ მას გროვიდან.

ამ დროს მეც იქით მივიხედე, საცა გროვა უჩვენებდა და დავინახე... ის იყო... ჩემი... ჩემი სიცოცხლე... იგი ამაყად იდგა, წარბს არ იხრიდა... ჯალათმა ხელი მოავლო და წაუძღვა წინ, მიჰყავნდა სარჩობელაზე... მე ცეცხლად გადვიქეცი, თვალების წინ დამიბნელდა: უნდა მოკვდე, მინამ მაგის სიკვდილს ვნახავ. აი რას ვამბობდი.—რას სჩადით, უსამართლონო, რასა, მტარვალნო!—ამას ვიძახდი და მივარღვევდი გროვას.. აღარ ედვა ჩემს ენას ბორკილი. მუხლები და მკლავებიც მემორჩილებოდა.. ყველამ თვალები მე მომაპყრო.. და სწორედ იმ დროს, როცა ჯალათისათვის უნდა მეტაცა ხელი და ბრჯღალებით ვცემოდი სახეში, დარაჯმა მახვილი დამკრა და უგრძნობლად დავეცი, მხოლოდ ეს გავიგონე, ხმა გაისმა მედგრად ხალხისა:

— გადარჩა, გადარჩა, სამჯერ გაწყდა თოკი!.

მეც თვალები გავახილე.. გაქრა სიზმარი.. გაქრა ოცნება... ხელში ბარათი მეპყრა და ზედ მსხვილი ასოებით ეწერა: „ქვეყნის ერთგულნო, იშრომეთ!“

ვაჟა-ფშაველა

ლი ნაწარმოებია: მაყურებელი სინამდვილისა და ფანტაზიის საზღვარზე არის; ბოლომდე არ ვიცით, თუ რომელი გრძნობა გაიმარჯვებს რენეგატ ოთარ ბეგის გულში—გაიღვიძებს მასში გმირი ქართველი, ერთ დროს თავის თანამოძმეთათვის მებრძოლი, თუ ბოლომდე დარჩება სასტიკ გარყვნილ მონად. იგი ხარბად ეწაფება ღვინოს, საწამებლად ჰგზავნის თავის ძმებს, სწვავს ეკლესიებს, სადაც ერთ დროს თვითონ ლოცულობდა. მაგრამ დესპოტ-მონის ბრძანებაში ხანდახან სხვა კილოც გესმის და მხსნელ ცრემლსა გრძნობ. ყოველ დროისა და ხალხის რენეგატები ერთმანერთს ჰგვანან: თანამოძმეების შურს იძიებენ და სურთ სისხლით წაირეცხონ გულის მღრღნელი სევდა. ოთარ ბეგი—ახალი, მშვენიერი ვარიაცია, ამ უკვდავ ტიპისა. რიბაკოვმა დიდის ხელოვნებით წარმოადგინა ეს დრამატიული სახე; რიბაკოვის ოთარი მარტო საზოგადო კაცობრიულ ხასიათის როლია, მას ადგილობრივი ელფერიც აქვს: იგი—აღმოსავლეთის რენეგატია; მხურვალე ატმოსფერას, დამათრობელსა და მომქანცველს, შეუპყრია მისი ნების ძალა; ძლიერი ნაკადული უფსკრულისაკენ მიაქანებს და იმედი აღარ არის მის აღდგენისა; იგი გაშეშებულია და აღარ იბრძვის; საჭიროა ახალი ნაკადული, რომ უკანვე მოაბრუნოს იგი.

და როცა ქართველ ხალხის სულმა გაიღვიძა, ოთარ-ბეგი ისეთივე ძლიერი პიროვნებაა თავისუფალ მებრძოლთა შორის, როგორიც თავის დაცემის დროს იყო.

სხვა მომქმედ პირებ შორის ცოტა არ არის ტიპიური ფიგურები. ზეინაბი, საქართველოს ყოფილი დედოფალი, სრული ოცი წელიწადი სცხოვრობდა დამცირებასა და პირმოთნეობაში; ოცი წელიწადი ფეხქვეშ ეგებოდა მტარვალ სულეიმანს თავისუფლების დღის მოლოდინში; ამ ხნის განმავლობაში ეს ქალი შესანიშნავის ხელოვნებით ჰმალავს თავის ამ საიდუმლო ოცნებას და ხდება ღირსეული თანამებრძოლი ოთარბეგისა. გაიანე მთების თავისუფალი და მშვენიერი შვილია, იგი არ არის შეჩვეული მოტყვილებას და თვალმაქცობას; გაიანე დაჩაგრულ ხალხის საუკეთესო თვისებათა განხორციელებაა და იგი გახდა სიმბოლო ამ ხალხის განმათავისუფლებელ სურვილებისა. მოხუცი გლეხი ანანია გამოსთქვამს ამ სურვილებს ძალდაუტანებელ იუმორის სახით, რომელიც ასე დამახასიათებელია უბრალო ხალხის წარმომადგენლისათვის, სანჩო პანსოდან დაწყებული სგანარელამდე...

არა მარტო გმირების ფიგურები, თვით საერთო კოლორიტი პიესისა მეტია, ვიდრე ეპოქის განხორციელება. მთელი პიესა არის მძლავრი მოწოდება თავისუფლებისაკენ, მოწოდება, რომელიც ისე ძლიერად არსად ისმის, როგორც ‚საპატიმროს თაღებ ქვეშ, სადაც იგი უერთდება ბორკილების ჩხარუნს“.

თუ მოსკოველებზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა სუმბათაშვილის პიესამ, ჩვენთვის იგი კიდევ უფრო საგულისხმიერო უნდა იქნეს. იმედია, ჩვენი თეატრის გამგეობა და არტისტები ღონეს არ დაზოგვენ ამ პიესის კარგად დასადგმელად და წარმოსადგენად.

დაბა-სოფლები

სოფ. კორბოული (ზემო იმერეთი). წლევანდელი წელიწადი არც ჩვენი სოფლისთვის იყო სახეირო: პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო. სიმინდისა და ღვინის მოსავალიც საშუალოზე ნაკლები გამოდგა. ასე და ამგვარად შარშანდელ ნაკლებ მოუსავლობას წრევანდელიც დაერთო. ამასთან საქონლის საკვების ნაკლულევანებაც დიდად აფიქრებს ხალხს. თუ ზაფხული ჩვენსკენ წვიმიანი იყო, სამაგიეროდ შემოდგომა მშრალი და თბილი გვაქვს ჯერ-ჯერობით.

12 ნოემბერს მოხდა ჩვენს საზოგადოებაში მამასახლისის და სხვა მოხელეთა არჩევა, მომრიგებელ შუამავლის თავად მაჩაბლის თანადასწრებით. თითქმის ერთხმად მამასახლისად აარჩიეს ჩვენსავე სოფელში მცხოვრები ოქროპირ ხარშილაძე. ეს ხარშილაძე სამჯერ ზედი-ზედ იყო არჩეული მამასახლისად. ამ სამის წლის წინად სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ხარშილაძე აღარ იქმნა მეოთხედ არჩეული, იმის მაგიერ აარჩიეს ჯიბო ცარციძე, რომელიც მთავრობამ არ დაამტკიცა და დანიშნა კანდიდატად არჩეული სოლომონ ყიფშიძე.

ჩვენს სოფელში არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელსაც საზოგადოების ყველა სოფლისათვის ვერ მოაქვს შესაფერი სარგებლობა. ამ სკოლით უმთავრესად სარგებლობენ მახლობელნი მცხოვრებნი. ამას გარდა საზოგადოება იმდენად დიდია, რომ ერთი სკოლა ვერ დააკმაყოფილებს იმის მოთხოვნილებას. სკოლაში ამ ჟამად 70-მდე მოსწავლეა, ყველა მახლობელ სოფლებიდან. ეს იყო მიზეზი, რომ საზოგადოებამ მეორედ განაცხადა უარი სკოლის გაორკლასიანებაზე. კორბოულის საზოგადოების რამდენსამე სოფელს განზრახვა აქვს ეკლესიებთან დააარსოს სამრევლო სკოლები.

ვ. მ.

—

სოფ. შქმერი (ზემო რაჭა). ჩვენი სოფელი მდებარეობს მთა ადგილას. შქმერელებს თვით რაჭველებივე მთიულებს უწოდებენ. ამ სოფელში ქერის მეტი არა ხარობს-რა. მცხოვრებთა მეტი ნაწილი თავს ირჩენს ჩალვადრობით და თივა, ხე-ტყის აღებ-მიცემობით.

ჩვენს მთებში ხშირად თავს აფარებენ ყაჩაღები და აქედან მოსვენებას არ აძლევენ როგორც შორაპნის მაზრას, ისე რაჭას. შარშან ბუზალაძეები დათარეშობდნენ ამ მთებში და წელს კიდევ ვიღაც ახალი გაჩენილა. 17 ნოემბერს გაუძარცვავთ ოცდა ათ კაცამდის, ზოგი დაუჭრიათ კიდეც. გაძარცულთა შორის შქმერელი ჩალვადრებიც ყოფილან. ღამის რაინდებმაც იჩინეს ჩვენში თავი. ამ დღეებში გაჰქურდეს სოფელ ქრისტესში მცხოვრები გიორგი მჯოხაძე. წაიღეს ტანისამოსი და სხვა, რაც ფასიანი ჰნახეს.

ვასილ ხირხონელი

—

სოფ. ხოტევი (რაჭა). სკოლის რიცხვი რაჭაშიაც მრავლდება. ნიკოწმინდის საზოგადოებაში არსებობს სამი სკოლა: ერთი ხოტევში ერთ კლასიანი სკოლა; ჰფიქრობენ გადააკეთონ ორ კლასიანად, რომლისთვისაც განაჩენი დაადგინეს; მეორე ს. აგარაში ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელსაც ცდილობენ გადააკეთონ ოთხ კლასიან საქალაქო სკოლად და მესამე ს. თლუღში ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. მეოთხე სკოლის დაარსებას აპირებენ ს. წგადიში. ნება რთვა კიდეც მოსვლიათ. ამრიგად ნიკოწმინდის საზოგადოებას მალე ოთხი სკოლა ექმნება. ყველა ეს ვაჟებისათვისაა და ქალებისთვის-კი არც ერთი. მხოლოდ თლუღის სამრევლო სკოლაში სწავლობენ ქალები, მაგრამ აქაც ცოტანი და ისიც იმიტომ, რომ ქალია მასწავლებლად. აგარისა და ხოტევის სკოლებში ქალებს არ იღებენ. სასურველია ქალებისთვისაც იზრუნოს ვინმე.

ხოტეველი ქალი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ნოემბერი

მოსკოვი. მოსკოვის საიდუმლო პოლიციას აღმოუჩენია ბრბო ქურდებისა, რომელთაც, როგორც თვითონ აღიარებენ, 60 სახლისათვის წაუკიდებიათ ცეცხლი. ბრბოს ხელმძღვანელობს ოცი წლის კაცი.

კრემენჩუგი. აკურთხეს სახალხო სახლი.

სევასტოპოლი. სევასტოპოლზე გაიარა პეტერბურგს მიმავალმა დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ მეუღლით დიდ მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულით, და უავგუსტოესის შვილებით.

ბელგრადი. თუმცა ოფიციალურად უარ-ჰყოფენ კაბინეტის კრიზისს, მაგრამ, როგორც სჩანს, გრუიჩის კაბინეტი შერყეული უნდა იყოს. როგორც ეტყობა, სამსახურიდან მალე გადადგებიან.

ვენეცია. ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და წყალი ადიდდა; წმ. მარკოზის მოედანზე ისეთი მაღალი წყალი იდგა, რომ გონდოლები თავისუფლად დადიოდნენ.

მელენკი. საგანგებო საერობო კრებამ დაამტკიცა საბჭოს მოხსენება მაზრაში ტელეფონის გამართვის შესახებ.—დაარსდა კლუბი სამუსიკო და დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა.

ტოკიო. ზედა პალატის პრეზიდენტად აარჩიეს ტოკუგავა, დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად—კონოე.

ბერბერი. მულას მომხრეებმა მულუგი დაიჭირეს.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, სამხედრო სამსახურის ვადა შემდეგ ნაირად განაწილოს: 9 წელიწადი ნიზამის, 9—რედიფისა და ორი სათადარიგო სამსახურისათვის.

25 ნოემბერი

პორტ-არტური. საგენერალო შტაბის კაპიტანის ტროიცკის ექსპედიცია, რომელიც გაგზავნილი იყო მდინარე ლიოახის ნაპირებზე ხუნხუზების წინააღმდეგ, გამარჯვებით დაბოლოვდა; ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა მეოთხე სადარაჯო ბრიგადის ნაწილი. ხუნხუზები დამარცხებულ იქმნენ სოფელ ვაფანის მახლობლად. რუსების მხრივ 4 კაცია მოკლული და 10 დაჭრილი, ამათ რიცხვში ერთი ოფიცერია. როგორც ჩინეთის ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, ხუნხუზების მხრივ 200 კაცამდეა მოკლული და ამდენივე დაჭრილი. ექსპედიციამ განდევნა ხუნხუზები დასავლეთისაკენ მდინარე ლიოახიდან. შემდეგ დანარჩენნი ხუნხუზები ისევ დაბრუნებულან ლიოახიზე, მაგრამ ექსპედიციას ისინიც გაუდევნია. რუსეთის მხედრობამ არა ჩვეულებრივი მამაცობა გამოიჩინა.

როგორც ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, გაუნდუნის ვიცე-კოროლს არა ერთხელ მოუხსენებია ჩინეთის მთავრობისათვის, მზათა ვარ ჯარებით ჩრდილოეთისაკენ წავიდეო. ეს წინადადება არ შეიწყნარეს, ამასთან ვიცე-კოროლს გამოუცხადეს ჯერ თავის პროვინციაში დაამშვიდოს აჯანყებულნი.—დედოფლის საყვარელი საჯურისი ლილიანინი ავად გახდა და საუკეთესო ექიმები უვლიან.—მონგოლიის მთავარმა ალატსინმა ბრძანება მიიღო, შეკრიბე შენი ჯარები და ევროპიელ წესებზე გაწვრთენი იაპონელ ინსტრუქტორების დახმარებითაო. მთავარს შეუძლიან 30 ათასი კაცი გამოიყვანოს.

სტოკჰოლმი. მეფემ პანამის რესპუბლიკა აღიარა.

კოპენჰაგენი. მოელიან მეკლენბურგ-შვერინის დიდ ჰერცოგისა და კუმბერლენდის ჰერცოგის ქალიშვილის დანიშვნას.

მოსკოვი. მოსკოვის პირველმა კორპუსმა დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის თანადასწრებით დიდის ამბით იდღესასწაულა არსებობის 125 წლის იუბილეი. წირვის შემდეგ დიდმა მთავარმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც კორპუსს ეწოდა დედოფალ ეკატერინე მეორის მოსკოვის კადეტთა პირველი კორპუსი.

ბენევენტი. აქ სამჯერ იძრა მიწა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს.)9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლო-ყგურულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ. (10—6.—4)

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა**. მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭიროა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—8)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. კანთეზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ნატურელ
თმის საღებავი
ჰოლლენდერ

არა მავნებელი და კარგი საღებავი თმისა; ღებავს ნამდვილ ფერად: შავად, წაბლისფერად და ქერად. **საღებავი ნატურელ** არ აფუჭებს თმას. ფასი კოლოფისა 1 მ. და 50 კაპ., გაგზავნით ევროპის რუსეთში 2 მან. ისყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში. უმთავრესი საწყობი საღებავისა გამომგონებთანაა: სავაჭრო სახლი „**საპარფიუმერიო ლაბორატორია ი. ჰოლლენდერ**“, პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქ. 13. (4—6.—1)

Дозв. ценз. Тифлисъ 25 ноября 1903 г ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის, (Электропеч. Груз. Изд. Т—ва